

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს სასწავლო უნივერსიტეტს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას შორის

ქ. -----

-----2019 წ.

ერთის მხრივ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური (შემდგომში-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური), წარმოდგენილი სამსახურის უფროსის თეიმურაზ მღებრიშვილის სახით და მეორე მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, (შემდგომში-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია) წარმოდგენილი მისი რექტორის, ირაკლი შარაბიძის სახით (შემდგომში ერთად წოდებულნი, როგორც მხარეები), ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე გამოთქვამენ მზადყოფნას ამ მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობაზე და თანხმდებიან შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია ამ დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისთვის მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა.

2. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის მიზანია, მხარეთა საერთო ინტერესების გათვალისწინებით ხელი შეეწყოს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტების შერჩევას სეზონური მაშველის პოზიციაზე, ხოლო შერჩევის შემდგომ, მათთვის შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და სეზონური მაშველის პოზიციაზე შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით დასაქმებას.

3. მემორანდუმის ამოცანები

მემორანდუმის ამოცანებია:

3.1 ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში, წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული თანამშრომლობის სწრაფი და ეფექტიანი განხორციელების მიზნით, სამუშაო შეხვედრებისა და მოლაპარაკებების გამართვა;

3.2 ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში, სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება;

3.3 სეზონური მაშველის პოზიციაზე დასაქმებასთან დაკავშირებული შესაბამისი ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება;

3.4 სხვა ღონისძიებების განხორციელება მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის მიზნების მისაღწევად.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური:

ა) ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას აცნობებს სეზონური მაშველის პოზიციაზე წარმოსადგენი სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობისა და შერჩევის კრიტერიუმების შესახებ;

ბ) უფლებამოსილია, კანდიდატის პიროვნული და საქმიანი თვისებების, განათლების და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად უარი თქვას ან დაასაქმოს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ წარმოდგენილი კანდიდატი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად, სეზონური მაშველის პოზიციაზე;

გ) უზრუნველყოფს, შერჩეული სტუდენტებისთვის აუცილებელი ინსტრუქტაჟის ჩატარებას.

4.2 ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია:

ა) ორგანიზებას გაუწევს სეზონური მაშველის პოზიციაზე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად დასაქმების მსურველ სტუდენტთა შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში აღნიშნული ინფორმაციის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის მიწოდებას;

ბ) ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას.

5. სხვა პირობები

5.1 მხარეები გამოყოფენ საკონტაქტო პირებს და უზრუნველყოფენ ინფორმაციის გაცვლას, რომელიც შეეხება სეზონური მაშველის პოზიციაზე სტუდენტების დასაქმების უზრუნველყოფას და მის განხორციელებასთან დაკავშირებულ აუცილებელ ღონისძიებებს.

5.2 წინამდებარე მემორანდუმში, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, რომლებიც გაფორმდება ცალკე დოკუმენტის სახით და ძალაში შევა ისეთივე წესით, რა წესითაც წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი შედის ძალაში. აღნიშნული სახით მიღებული დოკუმენტები წარმოადგენს ამ მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

5.3 წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2 (ორი) წლის განმავლობაში და ავტომატურად გრძელდება მომდევნო ორ წლიანი პერიოდით, თუ რომელიმე მხარე ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედების ორ წლიანი ვადის ამოწურვამდე სულ მცირე 3 თვით ადრე, წერილობით არ შეატყობინებს მეორე მხარეს თავისი განზრახვის შესახებ შეწყვიტოს მისი მოქმედება.

5.4 მხარეები უფლებამოსილნი არიან შეწყვიტონ მემორანდუმი, რის შესახებაც 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

5.5 წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად. თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

მხარეთა ხელმოწერა

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება- საგანგებო სიტუაციების
მართვის სამსახურის უფროსის პირველი
მოადგილე

ლევან ღირსიაშვილი



ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის
რექტორი

ირაკლი შარაბიძე

